საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

ქ. მცხეთა
№ 635/12 26-08-2024

შპს „სტუდია მაესტროს“

მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ. დიღომი, დიდგორის ქ. №68/22
ქ. თბილისი, პეტრიაშვილის №10

გაცნობებთ, რომ გიორგი ისაკაძის 2024 წლის 06 აგვისტოს R 13173-3/2024 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ (შემდგომ – საქპატენტი) 2024 წლის 27 აგვისტოს, ჩაინიშნა ზეპირი მოსმენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

გაცნობებთ, რომ სხდომის გამართვის თაობაზე, ადმინისტრაციული საჩივრის მხარეებს ეცნობათ საქპატენტის 2024 წლის 5 აგვისტოს № 604/12 კორესპონდენციით, თუმცა შპს „სტუდია მაესტროს“, რომელსაც, წერილი გაეგზავნა საქპატენტის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არსებულ ორ მისამართზე, კორესპონდენცია არ ჩაბარდა.

ვინაიდან, განსახილველ ადმინისტრაციულ საჩივარში შპს „სტუდია მაესტრო“ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, საქპატენტს მიზანშეწონილად მიაჩნია ზეპირი მოსმენის გადადება გონივრული ვადით, აღნიშნული მხარის წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიორგი ისაკაძის 2024 წლის 06 აგვისტოს R 13173-3/2024 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა გაიმართება 2024 წლის 4

სექტემბერს, 11:00 საათზე, საქპატენტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5) ან დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის პლატფორმა „Webex“-ის მეშვეობით, შემდეგ ბმულზე:

https://sakpatenti.webex.com/sakpatenti/j.php?MTID=m9e1c98906845f85cd12e97c00a3cc347
Meeting number: 2379 408 8300
Passcode: f7BPpZ5Muy3

ამასთან, განგიმარტავთ, რომ უფლებამოსილი ხართ, დაესწროთ ზეპირ მოსმენას, მაგრამ თქვენი გამოუცხადებლობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არ დააბრკოლებს 2024 წლის 06 აგვისტოს R 13173-3/2024 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას.

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე *თიკა ნებიერიძე*